

# ՅՈՒՆԵՍԿՈ

ՅՈՒՆԵՍԿՈ  
ՅՈՒՆԵՍԿՈ



ԵՅԵՑԵՃՈ

12

პროლეტარიატო  
შველს კვაენისა,  
შეერთდით!

# პიუნაერი

საპარტოვოლს ბ. კ. მ. ცენ-  
ტრალური ბიუროს და გან-  
თლუბის სახალხო კოპისა-  
რიატის შურნალი ბავშვთა-  
თვის

ხელის მოწერის შირთუბი:

I წლით		6 თვით		ცალ. ნომერი	
მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
8	—	5	—	1	—

1933

თარგმნული  
შინაწიროთესა

დეკემბერი

№ 12.

წელიწადი მე-8

რედაქციის მისამართი

თბილისის ქ. № 7.

სახელგაპი

ახალგაზრდობისა

და საბავშვო

ლიტერატურის

ხეობრი.

## შინაწიროთესი

1. ენთუზიასტები (ლეკსი)—გიორგი კაჭახიძის	1
2. ნარინჯი (მოთხრობა)—ლ. შამთავასი	2
3. სურათი (ლეკსი)—გ. კალანდაძის	5
4. თათარას ბრალია (მოთხრობა)—მ. კობახიძის	6
5. საყვედური (ლეკსი)—გ. კაჭახიძის	9
6. ფოღია (მოთხრობა)—ლ. ჭიჭინაძის	10
7. ფილიპე რივერა (მოთხრობა)—ფ. ლონდონის	16
8. ზამთარი (ლეკსი)—შიო მღვიმელის	23
9. არქიმედის ცხოვრების დასასრული—ა. კაჭახიძის	24
10. გასართობი—ნ. ნაკაშიძის	27

სტამბა პროლეტარიატის, ა. წამბათლის ქუჩა № 6-6

შეკვეთა 1941. — მთავლიბი ა-1284. — აბრეში 26.000

## ენტუზიასტი

დაგვიზამორდა.

ძლიერ ცივა.

შინ ბუხართან თბილა მარტო.

რა ვქნა,

წელსაც ისევ მრჩება

გაცვეთილი თხელი პალტო.

ყუდი გოგო მაინც ვიყო,

ან საქმესთან ვიდეგ ბრიყვად.

კობტა ვჩანვარ...

ბეჯითიც ვარ:

წიგნები და შრომა მიყვარს.

კიდევ ერთი ის მაჯავრებს,

შინ რომ მოვლიან ისევ ბავშვად.

ვერ ხედავენ, დიდი გავხდი

და სიბრიყვე უკან დამრჩა?!

დაგვიზამორდა.

ძლიერ ცივა.

შინ ბუხართან თბილა მარტო,

მე კი წელსაც ისევ მრჩება

გაცვეთილი თხელი პალტო.

ვბრაზობ „ქალი“,

ვსკდები გულზე...

დღეს სულ მაინც მომსპო ქარმა,

მარტო ვერის ხილზე გავლით

ვიყინები, ფიქრებს ვკარგავ.

ან ვის უნდა დავემდურო,

მოწაფე ვარ,

ცოდნას ვიძენ.

მამას ბევრი სარჩენი ჰყავს:

აქ ცოლ-შვილი, იქით სიძე.

რა ვქნა,

უნდა მოვითმინო,

დღეს წუწუნის გზა არ ვარგა.

ვინც კარგია, ძველ პალტოშიც

შეასრულებს გეგმებს კარგად.

არა, ყინვა რას დააკლებს

ფიქრისა და აზრის ნაღებს.

ბეჯითობით მშენებელი

ინჟინერი უნდა გავხდე!

მაშინ ნახეთ, შრომით როგორ

დავამშვენებ ბევრგან ქალაქს!

ჩვენს ქვეყანას დაეურჩები

დროისა და ტემპის ქალად.

დავდგამ სახლებს, ახალ სახლებს

ისე, რომ სულ დარჩენ ახლად.

ყოველ გამეღელს ვაძქევივინებ:

— ნეტავი შიგ ჩამასახლა!

ჯანს შევალევ ნათელ გეგმებს,

რესპუბლიკას დავდებ ამავს.

დღევანდლოურად მაშინ მშობლებს

აღარ ვეტყვი: „პალტო არ მაქვს“.

არც სხვა ვინმეს...

როცა ქვეყნად

აცივდება, ანდა დათოვს,


კობტა სხეულს დამიმშვენებს

ლამაზი და თბილი პალტო.



# ნ ა რ ი ნ ჯ ი

გუშინ მუჰამედის წინადადებით უკანას-  
კნელ გაკვეთილზე დაადგინეს კოლე-  
ქტივში შაბათობის მოწყობა. მოწაფეებმა  
წინადადება მიიღეს. მასწავლებელს ძლიერ  
გაეხარა ეს საქმე და მუჰამედს ჰკითხა:  
— ვინ გითხრათ, კოლექტივს დახმარება  
უნდაო?



— მაშამ, მასწავლებელო! წელს ბევრი  
ნარინჯი აქვთ ბაღებში და, თუ დროზე  
არ აკრიფეს, ავდარი მოუსწრებს.

მასწავლებელს გაეხარა...

მზე რომ მწვერვალებს ამოსცდა, სკოლის  
ეზოში უკვე ხმაური ისმოდა.

სკოლის ეზოს მარჯვნივ გორაკებია და  
მათზე შეფენილი პატარა სოფლის ფიქ-  
რული ოღები.

ზევით კი დაყუდებულან აქარის მონა-  
კრისფრო მთები... ქვევით შვის სხივებით  
ლაპლაპებდა ლურჯთვალა ზღვა.

ალიონიდან ხმაურობს სკოლის ეზო...  
განუწყვეტლივ ისმის მოზარდთა სიცილ-  
კისკისი და ზარის წკრილივით კრიალა  
სიმღერა:

— დედა, გამიშვი აქარაშია,  
კოლექტივს დავეხმარები ჩაის რგვაშია!  
სიმღერა თანდათან ძლიერდება. მზემ  
კარგა ამოიწია, და მალეობზე გამოჩნდა  
ჩაის ბუჩქები...

ოქტომბრის თბილი, საქმიანი დღე იწ-  
ყება... უკვე დროა, და სკოლის ეზოში  
გამოჩნდა სათვალეებიანი მასწავლებელი.  
პატარები გარს იხვევიან და ესალმებიან...

— მზად ხართ, პატარებო, შაბათობი-  
სათვის?

— მზად ვართ, მასწავლებელო...  
მასწავლებელი იკინის, უხარია.

ეზოს კარი ისევ იღება, და სკოლისკენ  
მომავალ ბილიკზე შოდის კომკავშირელი  
ჯემალი.

— პატარებს გაუმარჯოს! ჩვენები მო-  
გელიან, ბიჭებო!

— ჩვენც მზად ვართ!  
იგრძალეს პატარებმა და სასწრაფოდ  
მოეწყვენ წასასვლელად.  
რამდენიმე წუთის შემდეგ ძემეზარით  
შემოზღულულ ღობის მიღმა ისმოდა ცო-  
ცხალი მომახილი, პატარები წინ დროშით  
მიემართებოდნენ კოლექტივ „ალიონი“-ს  
ნარინჯის ბაღებისაკენ...

2

ბაღები ფერღობებზეა შეფენილი...  
აქ ზამთარშიაც თბილა. ირგვლივ ნარინ-  
ჯის საამო სურნელებია... ბაღებს გზატკე-  
ცილი აერთებს. გზის ორივე მხრივ ჯარის-  
კაცებივით დგანან პალმები და ნიაფზე  
სრიალებენ... ჰაერში იღვრება ოქტომბრის  
თბილი დღე, და შორს სივრცეებში აშარ-  
თულან აქარის მთები...  
ჰაერში წკრიალებს სიმღერა, პატარების  
ბრიგადები კრეფენ ნარინჯს, იქვე შრომო-  
ბენ კოლმეურნენია...

ჰაერი ისე სუფთაა და გამჭვირვალე, რომ  
შორს გარკვევით ჩანს ზღაზე მიმავალი  
გემიდან აშლილი ბოლი, შავ ზოლად გადა-  
წოლილი ლურჯ სივრცეში... გიღელი  
წამდაუწუმ ივსება, და სურნელოვანი ნარინ-  
ჯები მოზრდილებს მიაქვთ ურემებისაკენ...

— ჰასან, შეჯიბრებაში გიწვევ!

— ე, ახმედ, სანამ ჩემთან ნური, მურად  
და ფადიმე არიან, ტყვილად გგონია ვაგვა-  
სწრაოთ კრეფაში...

— აბა, აბა, საღამოს ენახოთ!

— ენახოთ, ენახოთ!

აქეზებს პატარა ამხანაგებს, და ისევ  
წკრიალებს ჰაერში სიმღერა.

— მარჯვედ, გოგონებო, მარჯვედ, ნუ-  
რია, ფადიმე, ნაზიკო!



ინტერესულად იმეცა...  
სინდელაწონს მალუკა მანამდე უფროს

...ინტერესული იყო...  
ინტერესულ შინაგარეშად მათი...  
სინდელაწონს მალუკა მანამდე უფროს



— აქ ვართ, ჰასან, აქ...  
კისკისებენ გოგონები და ავსებენ გი-  
დელს.

— მუჰამედს შეხედეთ, რა კარგად  
მუშაობს!  
— მაშ როგორ გგონია, ფადიმე, ის  
ყოჩაღია!

ყოჩაღია ფადიმეც, შარშან შეიყვანეს  
სკოლაში, ძალიან კარგად სწავლობს..

მამამისი კოლექტივშია, დედაც მამასთან  
ერთად მუშაობს კოლექტივის ბაღებში,  
ორი წლის წინათ დედამისი ჩადრს ატა-  
რებდა, ახლა კი აღარ...

დედამისი ახლა აქ მუშაობს, ეგერ, პალ-  
მების მიღმა ქალებს რომ მეთაურობს, აი  
ის არის...

მამამისიც აქ არის, გიდელებს ეზიდება  
ურმებისაკენ... ამაღამ ბათომში მიდის,  
ქარავანს მიჰყვება, ნარინჯის ერთ წყებას  
ჩააბარებს მიმღებ პუნქტს და ხვალ რომ  
დაბრუნდება, ქალაქიდან წიგნებს მოუტანს  
ფადიმეს...

ქვევით ისევ წკრიალით ეფინება ნადუ-  
რი მწვანე გორაკებს... კოლმეურნეთა  
მძლავრ მოძახილში ერევა პატარების  
სიმღერაც.

მზე გადისხარა...

ზღვაზე თეთრი ღრუბლები აიშალა...  
დაბერა საღამოს ნიაგმა, და საამუროდ  
აშორილა პალმების მწკრივი.

— გაავსეთ გიდელები და მოვრჩეთ! —  
იძახის პატარა მუჰამედი.

— უკვე ავავსეთ! — უბასუხებს ფადიმე.  
საერთო ყრიაშულმა მოაკცვა ფერდობი.  
კოლექტივში სამუშაო დღე დასრულდა.

— დადექით! — იძახის მასწავლებელი.

პატარები დგებიან და, როგორც დილით,  
მწყობრად მიდიან სიმღერით სოფლისაკენ.  
მზე უკვე ზღვამდის დავიდა, და წითლად  
შეფერადდა თეთრი ღრუბლები... საბალა-  
ხოდან ბლავილით მოერყეებიან მწყემსები  
ნახირს.

დაბინდა...  
მრგვალი მთვარე ამოვიდა ტყით შემო-  
სილი მთებიდან. სოფელ უჩანბას შარას  
გაჰყვა დატვირთული ურმების ქარავანი ბა-  
თომისაკენ... ღამე ნათელია და ცა ვარსკე-  
ლავიანი.

ქარავანი მთელი ღამე ივლის განუ-  
წყვეტლივ და ალიონზე, როდესაც მალალ  
მთებზე ინათებს და მამლები ყივილს შე-  
წყებენ, ისინი უკვე ბათომში იქნებიან...  
ახლა კი ღამეა.

საღლაც ყივის მამალი.

ზღვას მთვარე დაქათათებს...

მეღრმე მღერის, და ხშირ გორებსა და  
კლდეებს შორის შარაგზით მიიზღაზნება  
ნარინჯით დატვირთული ურმების ქარავანი.

ჩქარა ცვლიდა ერთმანეთს დღეები...  
ერთი თვის შემდეგ მალალ მთებზე დათავა.  
აკვიდა კიდევ.

აი, ღრუბლიანი ციდან დილას მშრალად  
დაიწყო თოვა ჩამობნელდა. შორს გა-  
წოლილი ლურჯი ზღვა უკვე აღარა ჩანს...

ამ დილით სკოლაში მეცადინეობის  
დროს კარი გაიღო და ფოსტის დამტარე-  
ბელმა წერილებთან ერთად გაზეთებიც მო-  
იტანა... ფანჯრიდან მოჩანს თოვლით  
დაბარდნილი გორები, და ფანჯარასთან  
მდგარი ნაძვის ხეები ნაბადმოსხმულ  
ვაჟაკებივით დგანან თოვაში..

ზარი დაირეკა.

სკოლა ახმაურდა. მასწავლებელმა ახა-  
ლი გაზეთი გაშალა და მესამე გვერდზე  
ამოიკითხა:

„ჩვენი ენთუზიასტები“.  
სოფელ უჩანბას სკოლის მოწაფეების

კოლექტივმა დროზე აკრიფა მოსავალი. ბეჯითი მუშაობისათვის სკოლის წითელ დაფაზე გაცაკარით კარგი მოწაფეები: ფადიმე გოგიტიძე და ახმედ კირისოღლი. მიჰბაძეთ პატარა ენთუზიასტების მავალითს...

მუჰამედ“.

— მუჰამედს დამიძახეთ! მოუხმო მასწავლებელმა.

პატარა აქარელი ბიჭი სირბილით მოვიდა.

— მუჰამედ, შენ გაგზავნე გაზეთში წერილი?!

— დიახ, მასწავლებელო...

— ვინ გასწავლა?

— მამამ.

— ყოჩაღ, ბიჭიკო...

და მასწავლებელმა აჩვენა წერილი გაზეთში. მასწავლებელი ილიმებოდა და რჩევას აძლევდა ალერსით მუჰამედს, თუ როგორ დაეწერა გაზეთში წერილი შემდეგშიც, შემდეგ კი, როდესაც ხარი დაირეკა და გაკვეთილი დადგა, ისმოდა დაფაზე ცარცის რაკუნნი.

გარეთ კი პირველი თოვლი მოდიოდა.

### გიორგი კალანდაძე

## ს უ რ ა თ ი

ცა შებამბულ თევზს მოაგავს,  
გადმოშობილს ძირს.  
თოვლნარევი, სუსხიანი  
ზენაქარი ქრის.

ზევით ნისლი დასწოლია  
თმაქალარა მთებს,  
ძირს ყიჟინით მიჰყვებიან  
სოფლის შარაგზებს.

გზებზე თოვლის ნამქერია,  
თოვლი მოაქვს ქარს.  
სუროს ფოთლებს მოსდებიან  
ჩიტუნები გარს.

ბიჭო სესე, გეყურება?  
წელზე მოთოვს ღღეს...  
ჩხართეგებმა და ბელურგებმა  
მიაშურეს ტყეს.

შეილდ-კოდალი მოამზადე,  
ვინადიროთ ხვალ,  
გავეჯიბროთ, აბა, ჰანდე,  
რა ვაქცაცი ხარ!

ირგვლივ თოვლის ნამქერია,  
თოვლი მოაქვს ქარს.  
სუროს ფოთლებს მოსდებიან  
ბელურები გარს.



# თათარას სურათია



დადგა შემოდგომა, გულუხვი და მდი-  
დარი.

ფოთლები უყვითლდება ხეებს, ხილის  
უკანასკნელ მემკვიდრეებს—კომშს, ბრო-  
წეულს, შემოდგომის მსხალსა და ატამს—  
ლოყები აპფერიანებიით და დაშპერბულან.

ქარი ამ დროს ფეხს იდგამს, როგორც  
პაწია ბაუშვი. დღეები ნისლიანი და ირ-  
გვლივ ისმის ჩიტების კრიამული.

კოდალა ბეჯითად ჩაქუჩივით უკაუნებს  
მოგრძო ნისკარტს გამოფულრულ ხეებს,  
საიდანაც ამოყავს მრავალი შჭერი.

ვენახი მშვენიერ სანახობას წარმოადგენს.  
მსხვილმარცვალი ყურძენი ბუტბუტით  
კვებულობს, რომ ვენახის დამამშვენებე-  
ლია. ანდრიული მას ამ კვენახზე დასკინის  
და პირველობას ჩემულობს, ბუტბუჭური  
და თითა მათთან ლაპარაკს უკადრისობენ,  
ამთ იციან თავიანთი თავის ფასი და ისიც,  
რომ სუფრაზე თამამად წამოიჭიმებიან ხოლ-  
მე ხილის თეფშზე. საფერავი კი, მაყვალა  
საფერავი წვრილ შავ თვალებს ეუტავს და  
სწყინს, რომ არაფრად აგდებენ მას, ღვინის  
ბარაქის მიმცემს და ყველაზე წყლიანს ყურ-  
ძენთა შორის.

სოფელ მეჯვრისხევის მცხოვრებნი დიდ  
ფაციფუცში არიან; რეცხავენ ქვევრებს,  
საწნახელებს, გოდრებს წნავენ.

ვასოც ეშხადება რთველისათვის: ის და  
მისი უფროსი ვაჟი სიკო ქვევრებს რეცხა-  
ვენ. 7-8 წლის გივი კი შორიდან უყუ-  
რებს მამისა და ძმის დამკლავებულ ხელებს.  
მათ ხელში სარცხელი უჭირავთ და მუშა-  
ხობით დაქანტულებს ოფლი გადმოსდით  
შუბლიდან.

გივისაც უნდა სიკოსავით მიეშველოს მშ-  
მას ქვევრის რეცხვაში, მაგრამ სარცხელს  
ძლივს მოერია, სიკომ გამოსტაცა სარ-  
ცხელი და უთხრა:

— შენი საქმე არ არის ვაჟკაცობა, წა-  
დი და ჩილივი ითამაშე.

გივის ეს ეწყინა, მაგრამ არაფერი უთ-  
ხრა ძმას, მხოლოდ ინატრა, რომ სიკოსა-  
ვით დიდი ყოფილიყო, დასქიდებოდა სი-  
კოს და წაეჭტია, ან კიდევ ეშველა მამის  
სათვის და მასაც ოფლი ჩამოსვლოდა დი-  
დი კაცივით შუბლიდან.

ქვევრის რეცხვას მალე მოორჩენ, და სალა-  
მოს, როდესაც ვახშამს მოუხსდენ, ვასომ  
გამოაცხადა:



— აბა, ხვალ რთველი გვაქვს და თქვენ იცით, როგორ იბეჯითებთ, — თან შეხე- და გივისა და სიკოს, რადგან ცოცხალი, ყვე- ლაზე ძალიან ეს ამბავი მათ გაახარებდა.

— ოჰ, მამი, ეს რა კარგი თქვი! — მოუბ- ვია გივი მამას. სიკოც წელა მივიდა მა- მასთან და მხარზე ხელი გადაჰხვია.

ამის შემდეგ ოჯახი გამხიარულდა, ვასომ გაზეთის ხმაშლილი კითხვა დაიწყო, ხოლო გივიმ საყვარელ ცრუნისათან თამაში კარგა რომ შედამდა, გივიმ დაიძინა, მაგრამ მთელი ღამე ყურძნით საესე ვენახი ესიზმრებოდა.

დილით ადრე გააღვიძა გივი სიკომ, ტანთ ჩაიცვეს, პირი დაიბანეს, კალთები აიღეს და უფროსებთან ერთად ვენახისაკენ გასწიეს მხიარული სიცილით.

სიკომ წამოიწყო სიმღერა, მას ხმა მისცა გივიმ, და ხელგადახვეულებმა მიაღწიეს ვენახის კარებს.

ვენახში შესვლისას მამამ აჩვენა ცოლ- შვილს, თუ საიდან უნდა დაეწყოთ ყურ- ძნის კრეფა.

დაიწყეს კრეფა. მტევენებით დაკუნწულ ვაზებს სწრაფად აცალიერებდნენ. გივი პირ- ველად დიდებთან ერთად კრეფდა ყურ- ძენს, ძაგრამ მალე მოსწყინდა ეს სამუშაო და კრეფა „გათავა“.

რთველის გათავებისას საესე გოდრები მარანში წაიღეს და საწნახელში ჩაყარეს.

სიკომ და ვასომ ფეხები დაისუფთავეს, შედგენ ყურძენზე და ქვლეტა დაუწყეს.

ყურძენს ცრემლები გადმოსცივდა, სა- წნახლის პატარა ნახვრეტებიდან გამოვიდა, დაღარული გზით გაიარა და ქვევრში ხრი- ალით ჩავიდა. ასე დიოდა განუწყვეტლივ ტკბილი წვენი ყურძნისა, სანამ საწნახელში ყურძენი სულ არ დაიჰკლიტა.

გივიმ და იმისმა ამხანაგმა წაიღეს დღეს ბევრი ტკბილი დალიეს. მეორე დღეს გივის დედამწინამ და ბე- ბიამ თათარას კეთება დაიწყეს.



ბებიამ დიდი ქვებით შემოდგა ტკბილი ცეცხლზე, დედამ ფქვილი გაცრა, და რო- დესაც ტკბილი აღულდა, ფქვილი ჩაყარეს შივ, თან წელწელა ურევდნენ, რომ ფქვი- ლი ძირზე არ დაღეკილიყო.


თათარამ დღედილი იწყო და ბუმბუტებს იკეთებდა.

გივი მოუთმენლად უცქერდა მათ და გულისთანაცქალით ელოდა თათარას გა- კეთებას.

— მალე გაკეთდება, დედი, თათარა? შეეკითხა გივი დედას.

— მალე, შვილო, ახლა მალე აღულ-

დება, ამოვავლებთ ჩურჩხელებს და თათარასაც გაჰმევე, გენაცვალოს დედა, — უთხრა გივის ალერსით დედამ.



— დედი, მე ჩურჩხელა ძალიან მიყვარს, მალე ვააკეთე თათარა, რა იქნება!

დედა ჩურჩხელისათვის ასხმული ჩამიჩისა და ნიგვზის მოსატანად წავიდა, ბებომ შერის შემოტანა დაიწყო.

გივიმ დრო იხელთა, თათარას ხელი ამოუსვა ქვაბში, მაგრამ ცელქს მაცდური სალოკი თითი დეწევა და პირში გაიქანა.

როცა დედა და ბებია საკუქნაოში შემოვიდნენ, თავის შემარცხვენელი თითი გივიმ ხალათქვეშ ჩამალა.

წინამ ჩურჩხელების ამოვლება დაიწყო, გივი კი თათარას ჯამით ერთობოდა.

— კარგი, შეიღო, ბევრი თათარა გაწყენს, წადი ახლა ნელისთან, ითამაშე, — უთხრა გივის ბებიამ.

გივიმ სიტყვა არ შეუბრუნა, წამოიღო და გარეთ გავიდა.

ეზოს მახლობლად გივის ამხანაგი ნელი პატარა დოღს უკრავდა და თან ფეხს აყოლებდა.

გივი მიუხლოვდა ნელის და ჰკითხა:

— ნელი! ვინ გიყიდა დოღი?

— მამამ, — უთხრა ნელიმ და ამაყად განაგრძო დაკვრა.

— ნელი, იცი, რა გემრიელია თათარა? — უთხრა გივიმ.

— არა, ჩვენ ჯერ ყურძენიც არ დავგიკრფვია, მამამ თქვა, რთველი ხვალ გვექნებაო.

— მაშ აქეთ წამო, რა გაჩვენო, — მოჰკიდა ხელი გივიმ და ნელი საკუქნაოსკენ წაიყვანა.

საკუქნაოს მზიანი კედლისაკენ ხარიხზე გადებული იყო ჩურჩხელებით საესე სარი. რამდენიმე ახლადამოვლებული ჩურჩხელა მიმზიდველად პრილებდა.

— რა ლამაზებია! — თქვა ნელიმ აღტაცებით.

— უნდა მოვვლიჯო, — და გივი აფოფხდა ბოძზე.

— არა, გივი, ბებია გაჯავრდება! — ეხვეწებოდა ნელი.

გივიმ ნელის ყური არ უგდო, მოვლიჯა ერთი ჩურჩხელა და უბეში ჩაიღო. ის იყო მეორის მოვლიჯას აპირებდა, რომ სარი დასხლტა, და ჩურჩხელები მთლიანად მიწაში ამოისვარა.

ხმაურობაზე ღრუტუნამ მოიბრინა, მას მოჰყენენ ბატები, ქათმები და ინდაურები.

გივისა და ნელის ეს ამბავი ეუცხოვათ. „სტუმრები“ მიუახლოვდნენ ჩურჩხელებს და გაფაციცებით დაუწყეს ჯამა.

— ღრუტ, ღრუტ, ღრუტ! ეს რა გემრიელია! — იძახდა მსუნავი ღორი.



— სუ, სუ, სუ! ჩურჩხელა რა კარგია!  
იძახდენ ბატები.

— კა, კა, კა! მართლაც კარგი რამ  
არის ეს ჩურჩხელა! — კაკანებდენ ქათმები.

გივი და ნელი ამაოდ ცდილობდენ მო-  
ვმორებით და უბატყებელი სტუმრები;  
ისინი თავიანთ მზიარულ ხმაურობასა და  
კამა-კენკას კვლავ განაგრძობდენ.

ამ დროს გივის ბებია გამოვიდა ჩურჩხე-  
ლებით სავსე სარით და ეს სურათი რომ  
დაინახა, დაქექა:

— აბა მანდ დამიდექით, თქვე არამზა-  
დებო, თქვენა! — და გამოუდგა ბავშვებს, მ-  
გრამ გივიმა და ნელიმ თავს უშველეს, შე-  
შინებულები საბძელს მოეფარნენ, აქ ფა-  
ცაფუტით შეჭამეს ნაქურდალი ერთი ჩურ-  
ჩხელა და სოფლის ბავშვებს შეუერთდენ.

გივის ბებია საკუქნაოში შეტრიალდა  
და წინას უამბო შეილის ნამოქმედარი.

წინამ გულიანად გაიცინა, ~~ჩურჩხელა~~  
ამოვლება არ შეუწყვეტია და ~~გახსენს~~ ~~სააა~~  
ვისი ბავშვობა, თუ როგორ დასაჯა  
ამ დედამ წინა ჩურჩხელის მოპარვისათვის.

— ბავშვები ხომ არ შეაშინე, დედი?  
შეეკითხა წინა დედას.

— არა, ისე გამოვუდექი და მიიმაღნენ.

— ძალიან ცუდი გიქნია, ჩემო კარგო,  
ჩვენ ახლა ბავშვებს ძველებურად დაშინე-  
ბით კი არ ვზრდით, არამედ ჩავგონებთა  
და დარიგებით, — უთხრა წინამ.

გივის ბებია გაშტერებით უცქეროდა  
შვილს, და მით უმეტეს გაკვირვებული  
დარჩა, გივი რომ უცემლად და ალერსით  
მიიღეს სახლში.


სამაგიეროდ გივიმ, რომელსაც შერცხვა  
თავისი მოქმედებისა, გადაწყვიტა აღარ  
იქურდოს.

ბიორგი კაპახიძე

საყვედური

როგორ კობტად ფაციფუცობ, —  
მოახლოვდა ქრისტეს შობა?!  
მიკვირს, ბები, ხატის რწმენა  
კიდევ რომ არ ჩამოგშორდა!  
რატომ ზიზღით არ უცქერი  
გახუნებულ საყდრის კარებს!  
მერე, ღმერთზე საუბარი  
წელს რამდენჯერ ჩავიტარე!  
სირცხვილია,  
ამ დროებას  
ასე უკან როგორ დარჩი!  
დაითვალე, მე ამ ქვეყნად  
რამდენი წლის წინათ ვაჩნდი!  
ჰუ, რა დიდად უფროსი ხარ!  
არ გრცხვენია, მერე, ბები?

როდის გინდა შეითვისო  
ბრძოლისა და შრომის ხმები?!  
მე, პატარამ, ბეჯითობით  
ვიცი ქვეყნად ბევრი რამე:  
ვიცი, მიწა როგორ ვაჩნდა,  
ან რა არის ღღე და ღამე.  
კიდევ ვიცი:  
ხატზე ლოცვით  
წინ ვერ წავა საქმე ჩვენი,  
აღმიანს მხოლოდ შრომა,  
უნარი და ბრძოლა ჰშველის.  
შენებურად მიწყებ კამათს,  
ჯიუტობ და ამბობ ისე,  
თითქოს საღმე არსებობდეს  
ღეთისმშობელი, ანდა ქრისტე.





ნეტავ, მართლა თუ გგონია  
ცის ბრძანებით გაჩნდა მიწა,  
ან სიციცხლე ადამიანს  
მამამეტერთმა მოგვანიჭა?!  
სირცხვილია...  
ამ დროებას  
ასე უკან როგორ დარჩი!

დაითვალე, აბა ქვეყნად  
რამდენი წლის წინათ გავჩნდით  
ჰო და მე თუ ბეჯითობით  
ვეწაფები აზრებს მართალს,  
ჩემზე უკვე ბევრად უფროსს,  
ბები, რაღა დაგემართა?!

ლ ა მ რ ე ნ ბ ი ზ ი ზ ი ნ ა კ ა მ

ფ ლ დ ი ა

გრძელწვერა და გრძელთმიანი ფოდია  
თავს კმაყოფილად გრძნობდა. მას ძალიან  
გრძელი ანაფორა ეცვა, რომლის კალთები  
მუდამ ტალახში დაეთროდა. ახალგაზრდები  
მას გადაგვარებულ ადამიანს ეძახოდენ, რად-  
გან მისი მსგავსი მთელს სოფელში არა-  
ვინ იყო, თვითონ კი თავის თავს რაღაც უხი-  
ლავი ძალის მოადგილედ თვლიდა.

პირველ ხანებშივე, როცა საბჭოთა ხე-  
ლისუფლებამ გაიმარჯვა, ფოდია იგრძნო,  
რომ მისი საქმე ცუდად წავიდოდა, რადგან  
ბოლშევიკები საუკუნეებით ჩამოფარებულ  
სიბნელის ხეწარს თამამად ახდიდენ.

ფოდის კმაყოფილება მწუხარებამ შე-  
ცვალა...

მისი წუხილის თანამოზიარე მხოლოდ  
იოთამი იყო, რომელსაც, მართალია, ანაფო-  
რა არ ეცვა, მაგრამ ისე ყოველმხრივ  
მას თანაუგრძნობდა. ფოდია და იოთამი  
ერთმანეთს უწყობდენ ხელს და უკმაყო-  
ფილება არასოდეს არ მოსვლიათ.

გლესს ხშირად თავისი სასმელ-საჭმელი  
არ ჰქონდა და ფოდის ხურჯინს კი ავ-  
სებდა...

ხურჯინისათვის მამგრად ჰქონდა ხელი  
ჩაკიდებული იოთამს, ფოდია კი შორიანხლოს

იღვა და ისე ადევნებდა თვალყურს. ხურ-  
ჯინი აივსებოდა თუ არა, იოთამი მაშინვე  
მოჰკრავდა თავს, მოიგდებდა ზურგზე და  
გაექანებოდა ფოდისას სახლისაკენ, გლესები  
კი ცალიერ ხურჯინებს გადაიკიდებდენ  
ზურგზე და შშიერ-მწყურვალნი ძლივს მი-  
ლასლასებდენ შინისაკენ.

— რას იტყვი, ბევრი სანოვაგე მოგვარ-  
თვეს გლესებმა, არა?!

შეეკითხა ფოდია შინისაკენ წელმოწყვი-  
ტით მიმავალ იოთამს.

— არ მოიტანს და სხვა რა გზა აქვს,  
ღმერთი გაურისხდება, მამაო, თქვენის ძა-  
ლით.

ფოდისას სახეზე ღიმილმა გაითამაშა,  
მაგრამ მისი ღიმილი გრძელმა წვერ-ულ-  
ვაშმა დაფარა.

— კიდევ კარგი, რომ ჩვენს საიდუმ-  
ლოებაში შენც არა ხარ გარკვეული, —  
თქვა თავისთვის ფოდია დაბალი ხმით.

იოთამმა ამ წინადადების მხოლოდ დასაწყისი  
გაიგონა და ხურჯინი მეორე მხარეზე  
გადაიღო.

— მართალია, მამაო ფოდია, მართალი...  
რა იყო მართალი, განა მან იცოდა?  
რასაკვირველია, არა. მაგრამ მაინც და-



ეთანხმა, რადგან იოთამი ფოდისა აზრზე შეჩვეული იყო „მართალია“-ს ძახილს.

გავიდა რამდენიმე ხანი. ეკლესია დაცალიერდა, გლეხები ბოლშევიკების მიერ მუქთად მიცემულ მიწებში ჩადგენ და მუშაობა გააჩაღეს.

ეკლესიის ეზოში, რომლის ბატონ-პატრონობა მხოლოდ-და ფოდისა და იოთამს შერჩა, ჩიტების გამაყრუებელი ქვილი ისმოდა.

გლეხებმა პროტესტი გამოუცხადეს ეკლესიას და მის ეზოში ფეხიც აღარ შეადგეს, იგი მიუვალი ადგილი შეიქნა და მის გოლავეანში მუდამ მწვანე ბალახი ციცილობდა.

ალარაინ დაიარებოდა ეკლესიაში, გარდა ერთი გამოყრუებული დედაკაცისა, რომელსაც ანტიოფას ეძახდნენ. ანტიოფა ქვესკნელიდან ამომძვრალივით გაჩნდებოდა ეკლესიის უკანა ნაწილში. იგი ბნელ კუთხეში იდგა, თვალები და ხელები ზევით ჰქონდა მიპყრობილი და რალაცას ჩიფჩიფებდა...

ფოდია კი თავისი ბოხი ხმთ ლოკულობდა, და მის ლოკვაში ხშირად ერთიდიგივე სიტყვები ისმოდა:

— მოგვხედე, უფალო... მოგვხედე, უფალო...

ღრიალებდა ფოდია, და მის ხმას კიდევ უფრო ამსხვილებდა მალალკედლებიანი ეკლესიის ყრუ სიკალიერე. ეკლესიის მახლობლად გზა ჩადიოდა. მგზავრი ფოდის ღრიალს უთუოდ გაიგანებდა და ძალაუნებურად აუტყდებოდა სიცილი...

იგი ძალიან შესთხოვდა ვიდაცას: — მოგვხედე... მოგვხედე...

მაგრამ არაინ არ იხედებოდა მისკენ. სარწმუნოებას ფარდა აეხადა, და გლეხებმა უკვე ყველაფერი გაიგეს.

ფოდისა აღარ გააჩნია მრევლი, მის მხოლოდ ანტიოფა ჰყავს. და ისინი თითქოს

ერთმეორეს თავს აწონებდნენ გულწრფელი ლოკვა-კურთხევით. ფოდია ბევრი ლოკვა იცოდა. ანტიოფამ, მართალია, ლოკვები არ იცოდა, მაგრამ მაინც რალაცას ჩიფჩიფებდა.

იოთამი თავს უკმაყოფილოდ გრძნობდა, ვინაიდან ზურჯინი როგორც მოქონდა შინიდან დაკეცილი, ისევე მიქონდა უკან. ფოდია მაც შეამჩნია იოთამის უკმაყოფილება და გადაწყვიტა ეზრუნა იმაზე, რომ იოთამიც არ ჩამოშორებოდა, თორემ მერე თვითონაც უნდა აეღო ხელი მღვდლობაზე, ამის შემდეგ თვითონაც უნდა გაეხადა ანაფორა, ჩაეცვა ადამიანური ტანისამოსი, მოეპარსა თავი, გაელამაზებია პირისახე და ადამიანს დამსგავსებოდა.

ფოდის ეძნელებოდა ეს საქმე, რადგან ადამიანობას ერთხელვე ზურგი შეაქცია და თანდათან ტყისკაცს დაემსგავსა.

— კაცი რომ თმას დედაკაცივით მოზრდის და ნაწნავენს უკან მათრახებევით გადაიკიდებს, განა ის მამაკაცია?! იმას იქნებ ოდესღაც ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ დღეს კი აღარ, როცა ადამიანმა ხმელეთი და ზღვა დაიპყრო, ჰაერში აფრინდა და ზეცის კუნჭულებსაც აღარ ტოვებს შეუსწავლელს, — უთხრა ვანომ მამას.

ვანო კომკავშირელი იყო და სკოლაში დადიოდა, მამა კი მიწისმუშა გლეხია, იგი წინათ დაიარებოდა ეკლესიაში, მაგრამ როცა მას ბოლშევიკებმა მიწა მისცეს, ეკლესიასაც თავი მიანება; დღეს კი შვილის საუბარს უგდებს ყურს, რომელიც მღვდლებს კარგი თვლით არ უცქერის.

— იე არ ვიცი, შვილო, ეგენი როგორი ხალხია. სკოლაში მიტომ გატარებ, რომ შენ მაინც აღარ მოემწყვედე იმ უკოლინარობის ჩარჩოში, რომელშიც მე ვიყავი და საიდანაც საბჭოთა ხელისუფლებამ და-

გეიხსნა მე და მრავალი ჩემისთანა. — მან ხელი გაიშვირა თავისი მეზობლებისაკენ, რომლებიც უწინ მასავით ეკლესიაში დადიოდნენ.

ახლა მათ ეკლესიას სამად სამი დამცველი შერჩა: ფოდია, იოთამი და ანტიოფა. მათ წინააღმდეგ სოფლის მთელი კომკავშირული ახალგაზრდობა იყო ამხედრებული.

ფოდია რომ ორლობებში დაღლები ცოფიანებივით შემოედებოდნენ, ატებდნენ ყვეფას და ბევრჯერ ანაფორასთვისაც კი წაუტანებიათ პირი. ამის შემხედვარე კომკავშირელი ბიჭები სიცილს ვერ იკავებდნენ, მღვდელი კი ორლობებში ციბრუტივით ტრიალებდა.

— ბიჭო, ნუ იცინი, სირცხვილია, — უთხრა ერთმა კომკავშირელმა ვანოს, მაგ-





რამ თვითონ ვანოზე მეტად იცინოდა.  
 — სერიო... სერიო...  
 ისმოდა სიცილში არეული ყვირის ხმები.  
 ფოდის ყველაფერი ესმოდა, მაგრამ რა  
 უნდა ექნა, რა ხელს მისცემდა მას კომ-  
 კავშირულ ბიჭებთან გამოკამათება?  
 3  
 — იოთამ, შენ მე მიგდევ ყური, ხომ  
 ხედავ, ჩემი სულიერი მემკვიდრე შენა ხარ.  
 ჩვენი სოფლის ეკლესიას- მომავალში შენ  
 უნდა ჩაუდგე სათავეში.  
 — მამაო, იყოს ნება შენი...  
 იოთამმა მოწიწებითა და მორჩილებით  
 აღსაესე სიტყვები უთხრა. თუმცა მის გულ-  
 ში უკმაყოფილებას ფეხი უკვე მოკიდე-  
 ბული ჰქონდა, ეს სიტყვები მას მაინც  
 ათრთოლებდა, და სახეზე კმაყოფილების  
 გამომსახველი ღიმილი გაუთამაშდა.  
 — საწყალო იოთამ, რამდენად გამოყე-  
 ყენებული აღამიანი ხარ! — იტყოდენ ახალ-  
 გაზრდები მის გასაგონად. იოთამს ბევრ-  
 ჯერ გაუგონია ასეთი სიტყვები, მაგრამ  
 წყენას არ იმჩნევდა. ბოლო ხანებში მან  
 ფოდისასვით დაიწყო სიარული. მას გრძელი  
 თმა არ ჰქონდა, მაგრამ მაინც უკან გა-  
 დივარცხნა, ჯიბეში ეწყო რალაც ძველის-  
 ძველი საეკლესიო ქაღალდები და ნასწავ-  
 ლი კაცივით დასდევდა უკან ფოდისას.  
 — სარწმუნოება შეიბღალა, აღარა  
 გყავს თაყვანისმცემლები, — იტყოდა ხოლ-  
 მე წუხილით იოთამი, თუმცა არც კი  
 იცოდა, თუ რა იყო სარწმუნოება.  
 ფოდისასთან იოთამს თავი სერიოზულად  
 ეკავა, რადგან მის თანამდებობას შესტრ-  
 ფოდა, მაგრამ ჩაიგდებდნენ თუ არა ახალ-  
 გაზრდები ხელში, დაუწყებდნენ ლაპარაკს  
 და რას არ ათქმევინებდნენ. სალაპარაკო

რომ შემოეღოდათ, მერე უეცრად გაჩნდნენ  
 ბოლა ასეთი კითხვა:  
 — იოთამ, ეკლესიაში როგორ აუწევ  
 ხოლმე ხმას, ეკლესიაში?  
 საკმარისი იყო ამ სიტყვების გაგონება,  
 და იოთამი ხელათ წაშორიწყებდა მაღალი  
 ხმით რომელიმე საეკლესიო სიმღერას. ახალ-  
 გაზრდები უგდებდნენ ყურს და თითქოს  
 მოსწონდათ მისი აბნეული ვალობა.  
 — დედას გეფიცები, ფოდისას არ ჩამო-  
 უვარდება, ისე მშვენიერი გამოთქმა აქვს! —  
 თქვა ერთმა და დანარჩენებს თვალი უყო,  
 რომ მათ ხელი არ შეეშალათ. გახარებუ-  
 ლი იოთამი რას ლაპარაკობდა თვითონაც  
 არ იცოდა. ფოდისასადმი პატივისცემა იო-  
 თამს ასეთმა შექებამ უკვე დაავიწყებია და  
 მოჰყვა:  
 — ფოდია ჩემით არის იმ ეკლესიაში,  
 თორემ ამა მე არ ვიყო და მაშინ ნახეთ!  
 — მართალია, მართალია...  
 დაუდასტურეს ახალგაზრდებმა და თა-  
 ნაც გაეცინათ, გაეცინა თვით იოთამსაც.  
 — ამ ეკლესიიდან ხატები გამოვყაროთ  
 4  
 და ჩვენი სოფლისათვის კარგი კლუბი  
 გავმართოთ.  
 — არა, ამხანაგო, აგრე არ ივარგებს.  
 უბასუხა ვანომ.  
 — ამხანაგო, რატომ არ ივარგებს, გლე-  
 ხები ხომ მაინც არ დაიარებიან და რას  
 გვიკეთებს ამხელა შენობა, ასე რომ წამო-  
 ყუდებულა! — ჩაეკითხა ისევ პირველი.  
 ვანომ არემარეს მოავლო თვალი, ეკლეს-  
 სიასაც შეხედა. ეკლესია თვალსაჩინო აღ-  
 გილზე იყო აშენებული. ის ადგილი მთელს  
 სოფელში ყველაზე უფრო მაღალი ადგი-  
 ლი იყო. იქ რამდენი მკვდარიც იყო  
 დასაფლავებული, იმდენი ნაძვის ხე იყო  
 დარგული. ისინი დაზრდილან და ახლა  
 თითქოს ნაძვარი გგონია. აი ასე მშვე-

ნიერად შემკობილი ეკლესიის ეზოს პატრონი ფოღია იყო. იქ ხეხილიც ბლომად იყო, და ბავშვები ძალიან ეტანებოდნენ ალუჩასა და კომშს. სკოლიდან მომავალი ბავშვები ხარბი თვალთა შესტკეროდნენ სიმწიფეში შესულ დაყვითლებულ კომშს..

მაგრამ ვის შეაჭმევდა ფოღია ამ მშენიერ ნაყოფს: ფოღია მუდამ ეკლესიის ეზოში იყო და ყველას უკრძალავდა კომშის ჭამას.

ფოღიამ ერთხელ პატარა ვანოც კი მიისწრო კომშზე. მან არ იცოდა ბავშვის ვალაზება ანდა გინება, არამედ მასთან გრძელ საუბარს გამართავდა და ამნაირად ბავშვის სარკესავით გონებაზე რელიგიურ მავნე აზრებს წერდა.

ვანოსაც ახსოვს ერთი ასეთი საუბართაგანი:

— ეს კომში, შვილო, არ იჭმება...

როგორ შეიძლება მეგისი შეჭმება თუ ფოღიამ.

— რატომ? — შეეკითხა პატარა ვანო.

— ჰაი, შვილო, რომ არ იცი და საცოდაობას ჩაღიზარ. ეგ კომში მიცვალებულის გულზეა დარგული.

ვანო შეკრთა და ზიზღით შეხედა კომშს.

— მერე? — იკითხა კიდევ ვანომ.

— და მიცვალებული ამ მცენარის საკვებად არის გადატყეული, იგი ნაყოფშიც კი არის შესული...

ვანომ მაშინვე გადაწყვიტა, რომ ეკლესიის ეზოში არაფერი არ მოეწყვიტა. პატარა ვანო მიდიოდა შინისაკენ და თანაც ფიქრების კორიანტელში იყო გახვეული, მაგრამ უეცრად რაღაც მოაგონდა და მხიარულად შეძახა:

— არა, ტყუილია! მაშინვე რომ საქონ-





ლის პატივს ყრის ხოლმე ყანაში, მაშ  
ისიც ნაყოფში გადადის?! ეს რომ ასე  
იყოს, პატივს აღარ დაყრიდნენ ყანაში.  
მე ვიცი, რომ იგი კვებავს მცენარეს, გა-  
დადის მის ნაყოფში, მაგრამ ის შეცვლი-  
ლია სულ სხვანაირად... ჰაი დედასა, რო-  
გორ მომატყუა იმ წვერებცანცარამ..

პატარა ვანო გაიზარდა.

იგი ახლა თავის სოფელში აქტიური  
კომკავშირელია და მუდამ ახსოვს ფოდის  
ყალბი დარიგება.

5

— მამაო,— დაუძახა იოთამმა.  
ფოდამ თითქოს ვერ გაიგონა და რა-  
ღაცას ათვალღერებდა.

— მამაო! — განუმეორა ისევ.

— რა გინდა, მამა და შეილო.

— ცუდი ამბავი გავიგე.

— მაშ მეც მითხარი!


— ნეტავ არ გამეგონა! — თქვა ისევ  
განცვიფრებით იოთამმა და თმები ღორის  
ჯაგარივით ჰქონდა უკან გადავარცხნილი.

— ღმერთო მოგვხედე! რა ღვთის  
რისხვაა?!

— კომკავშირელები ეკლესიის დანგ-  
რევას გვიპირებენ.

ფოდისა ელდა ეცა და პირჯვარი გამო-  
ისახა. მას ღაპარაკის უნარიც წაერთვა...  
მათი საუბარი არ იყო ხანგრძლივი, მაგ-  
რამ მათ თავში ეკლესიის დანგრევის ამ-  
ბავი უცნაურად ტრიალებდა.

იოთამს ჯიბეში ეწყო საეკლესიო ქალაღ-  
ღები და გაცხვლებული გულის გასაგრი-  
ლებლად წყალს ხარბად სვამდა. ხალხი  
გაკვირვებული თვალით უცქეროდა მას და  
ვერ მიიხვდარიყვნენ, თუ რა ასმევდა ამ-  
ღენ წყალს.



6

ფოდამ მეტად ცუდი სიზმარი ნახა.  
რომ არ გამოპლვიძებოდა, იქნებ ჭკუაზეც  
შეშლილიყო.

იგი თითქოს ცხადში ხედავდა:

ეკლესიის ეზოში უანრაფი ხალხი იყო  
მოგროვილი. ისინი იდგნენ შორიახლოს და  
ეკლესიის გუმბათს უცქეროდნენ, თუ რო-  
გორ აცოცდა იქ კომკავშირელი ვანო,  
თოკი ჯვარს გადმოაღო და რაც შეეძლო  
ისე გადმოწია...

ფოდის ხელთ ეპყრა ვეება ჯოხი და  
ეკლესიის ეზოსკენ მირბოდა... მირბოდა,  
მაგრამ არ იქნა და ვერ მიღწია იქამდის,  
ვერ შეერია მოგროვილ ხალხში... იგი  
მირბოდა, მაგრამ ბარაქა არ ჰქონდა სი-  
რბილს.



— რომ გადმოაგდოს, ვინღა აიტანს იმ სიმაღლეზე... უწინ ხალხმა აიტანა, ახლა ხომ ხალხი განზეა გამდგარი. — ფოდია თითქოს ლაპარაკობს და ჩქარა უნდა მისვლა ეკლესიის ეზოში.

სანამ ეკლესიამდის მივიდოდეს, მანამდის ფოდია მამდენიმე მოსახლის კარზე უნდა გაიაროს. მეზობლის ძაღლებს ეუცხოვით გაქეუული ფოდია და თავგანწირულად გამოედევნენ. ისინი უყუფოდენ რაც შეეძლოთ, ანაფორაშიც ჩაატანეს პირი. ამ დროს იყვრა ფოდია და აკანკალებული წამოვარდა ზეზე. ის მთრთოლვარე ხმით იმეორებდა:

— დიდება შენდა, უფალო! ასე დასრულდა ფოდის სწავლა რამდენიმე შობამ და აღდგომამ გაიარა, მაგრამ იოთამის დაკეცილ ზურჯინს აღარ ეღირსა გაშლა, გლეხები ეკლესიაში აღარ დაიარებიან და აღარც ხორაგი მიაქვთ. ბევრი ეკლესია გლეხობამ კლუბებად გამოიყენა, წავიდა მღვდლების ზღაპრების დრო.

ფოდის ეკლესიაში ახლა სკოლაა გამართული და პატარა მოწაფეები სიხარულით სწავლობენ. მათ აღარც კი იციან, თუ იქ ეკლესია იყო უწინ...

ჯ. ლონდონი

# ფილიპე რივერა

## I

მის შესახებ არაფერი არაფერი იცოდა, ყველაზე ნაკლებად კი „ჯუნტის“ წევრებმა. ის ძლიერ გულმოდგინედ მუშაობდა მექსიკის მომავალი რევოლუციისათვის, მაგრამ აჯანყებულთ იგი მაინც არ უყვარდათ.

ერთ დროს ის ჯაშუშიც ეგონათ. იგი ზვრამეტი წლისა იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ბავშვად გამოიყურებოდა.

მან განაცხადა, რომ მას ფილიპე რივერას ეძახიან და რომ მას სურს აჯანყებისათვის მუშაობა. მის ტუჩებზე და თვალებში არასოდეს ღიმილი არ გამოამკრთალა.

ამ ბიჭის დანახვაზე ვერა პაულინო ერთხელ ძლიერ შეწუხდა: მის მიმოხერასა და გამოხედვაში რაღაცა საშინელება იხატებოდა.

რივერას მუდამ უცნაური ცეცხლით აგზნებული თვალები აუპრიადდა, როცა

მან შეთქმულთა სახეს და მემანქანე ქალს სეტბის შეხედა. ქალმა იგრძნო „მუშაობარი მზერა და საქმე რამდენიმე წუთით შეწყვიტა.“

ვერა პაულინომ პრელანსოსა და სამოს შეხედა. მის თვალებში იგივე კითხვა ნათლად იხატებოდა, რა კითხვითაც იმ წამს პრელანო და სამოსი ერთმანეთს შესცქეროდენ.

ყველას თვალებში აშკარა ყოყმანი გამოკრთოდა. იმ ბიჭის გამოცნობა ძნელი იყო.

ბოლოს ვერამ გადაწყვიტა:

— ძლიერ კარგი. თქვენ ამბობთ, რომ აჯანყებისათვის გსურთ მუშაობა. პალტო გაიხადეთ და აი აქ ჩამოკიდეთ.

აგერ იქ ვედრო და ძონძები აწყვია. იატაკი ძლიერ ქუქყიანი... ჯერ იატაკი გარეცხეთ... შემდეგ ფანჯრები...

— განა ეგ აჯანყებისათვის აუცილებელია?! — იკითხა ბიჭმა.

— დიახ, ეს აჯანყებისათვის საჭიროა, — უთხრა ციცი.

— რივერამ ექვიანად და ცივადღე შეხედა მას და პალტოს გახდა დაიწყა.

— კარგი! — იყო პასუხი. შემდეგ კი რივერამ სატყუარა...

ის ყოველდღე მოდიოდა და უხმოდ, უსიტყვოდ ჰკიდებდა თავის საქმეს ხელს. ვიღაცეები, ასუფთავებდა, რეცხდა, ღუმელიდან ნაცარს იღებდა, ნახშირი მიქონდა და ღუმელს ახურებდა.

— შეიძლება ღამე აქ გავათიო?! — იკითხა ერთხელ მან.

— აჰა, ბოლოს მიანც... „ჯუნტის“ საკრებულოში დაძინება ამ ორგანიზაციის ყოველივე საიდუმლოს გაგებას ნიშნავდა...

— არა, არ შეიძლება! თხოვნა არ შეიწყნარეს, და რივერას არასოდეს ამგვარი თხოვნით მათთვის აღარ მიუმართავს.

პრედლანომ ბიჭს ორი დოლარი შესთავაზა, მაგრამ მან გადაჭრით უარი განაცხადა:

— მე აჯანყებისათვის ვმუშაობ, — ციცი უთხრა წარმოთქვა მან. აჯანყების საქმიანობა მგერ ფულს მოითხოვდა. „ჯუნტი“ ამ მხრივ ყოველთვის გაკვირვებას ითმენდა.

ზოგჯერ ოცი ან ოცდაათი დოლარის ფულისათვის რომელიმე დიდი პროექტის შესრულებაზე უარი უნდა განეცხადებიათ.

მაგრამ ერთხელ ასე მოხდა: კომიტეტს სახლის პატრონის ორი თვის ვალი დაედო. როდესაც სახლის პატრონი გამოასახლებას დაემუქრა, ფილიპე რივერამ სამოცი დოლარი გადაიხადა.

ამ დღიდან ფილიპე რივერას არა ერთხელ გაუწყვეია სარეგულაციო კომიტეტისათვის ფულით დახმარება.

— იქნებ მთავრობის დახმარებით მოხერხდეს? — ხშირად ასე კითხულობდა ვერა, მაგრამ ამაზე დანამდვილებით პასუხის მოცემა არავის შეეძლო.

რივერა კი ისევ თავის შავ სამუშაოს განაგრძობდა. მისი მოქმედება გულუბრყვილო რევოლუციონერთა თანაგრძნობას არასოდეს არ იწვევდა, რომელთაც ყოველგვარი ილუზია დაეძვინათ.

— შესაძლებელია ის უდიდესი ადამიანიც იყოს, მაგრამ გადაწყვეტით ვამბობ, რომ მე მისი ძლიერ მეშინია, — ამბობდა ვერა.

— მასში ადამიანური არა არის რა, — მხარს უჭერდა მას სამოსი.

— დიახ, ის ფრიალ უცნაურია, — და-



ეთანხმა სეტბი. — ის ხან მკვდარსა ჰგავს, ხან კი პირდაპირ იწვის. შე ყოველთვის თვალყურს ვადევნებ მას.

მათ იგი არ შეუწყვარდათ.

რივერა მათ ერიდებოდა.

ყოველგვარ საქმეს იგი მუდამ გულმოდგინედ და წესიერად ასრულებდა და ღუმლა...

მხოლოდ მისი თვალები მკაცრი და ცივი ცეცხლით აენთებოდა, როცა მისი ამხანაგები აჯანყების მოახლოვებაზე ლაპარაკობდნენ. ის წინასწარი აზრი, რომ რივერა მკაცრი ხასიათისა იყო, ბევრჯერ იმით დასტურდებოდა, რომ ბიჭი ხან შესიებული ლოყით, ხან შეხვეული ხელით გამოცხადდებოდა ხოლმე.

ბევრჯერ მას თავისი აუცილებელი საქმიანობა ბოლომდის ვერ მიუტანია, სიმწარისაგან დამანქული სახით სადნე კუთხეში მიგდებულა და იქიდან კრების მსვლელობისათვის თვალყური უდევნებია.

— ალბათ, მას ხშირად სცემენ, — ამბობდა ვერა, — წარმოდგენილი მაქვს ის ბინძური ადგილები, სადაც იგი იმყოფება.

— ეს ვეფხვია, და არა ადამიანი. ღმერთმა დაიფაროს, რომ მას კლანქებში ჩაუვარდეს ვინმე! იგი საკუთარ მამასაც არ დაინდობს.

— მაგრამ ფულს მაინც საიდან შოულობს? — იკითხა ერთხელ პრელანომ. — აი, მაგალითად, დღეს ქალაქის ანგარაში ას ორმოცი დოლარი გადაიხადა. მას, ბოლოსა და ბოლოს, აუცილებლად თვალყური უნდა ვადევნოთ.

— როდესაც მას ვუყურებ, ტირილი მომდის, — განაცხადა ქალბატონმა სეტბიმ. მას ყველა ადამიანი სძულს. ჩვენ კი იმიტომ გვიძლებს, რომ მისთვის საჭირონი ვართ, როგორც მისი თანამაზრდნი. ის მარტოადმარტოა, საბრალო ბავშვი!

ხშირად რივერა მთელი კვირის მთელი იკარგებოდა, დაბრუნებისას კი მგვირვინული მოქონდა.

„ჯუნტაში“ ის დაყოფდა ერთ-ორ თვეს და შემდეგ ისევ ღიდი ხნით იკარგებოდა.

მის ღროვამაშვებით დაკარგვას ნელ-ნელა ეჩვეოდნენ.

## II

კრიზისი ახლოვდებოდა.

ამოხების საქმე უშუალოდ „ჯუნტაზე“ იყო დამოკიდებული, მაგრამ „ჯუნტა“ დიდ გაჭირვებას განიცდიდა, რადგან გასაჯალი იზრდებოდა და ფულის შოვნა კი ძლიერ გაჭირდა.

ტირან დიაცის სახელმწიფოებრივი მექანიზმი მზად იყო სათამაშო ქალაქის ხუხულასავეთ დანგრეულიყო.

პროვინცია დღითი-დღე ნიშანს ელოდა. ყოველი მხრიდან გამოძახილივით ისმოდა:

— იარალი, იარალი!

მაგრამ იარალი ჯერ არსად ჩანდა, არც იყო საშუალება მისი შეძენისა. „ჯუნტას“ სახსარი მთლად გამოიფიტა.

— რა უბედურობაა, რომ მექსიკის თავისუფლება მხოლოდ რამდენიმე დოლარზეა დამოკიდებული! — განუწყვეტლივ გაიძახოდა ვერა.

— ფული! საიდან ვაგაჩინოთ ფული?

— თითქმის ყველაფერი მზადაა... ყოველი დაგვიანებული დღე კი ღიდ საფრთხეს გვიმზადებს.

ყველანი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. დღე დღეს მისდევდა, მაგრამ გარემოება არ იცვლებოდა.

ხოზე ამერიგოს სიკვდილით დასჯის ამბავმა, — იმაზე კომიტეტი ღიდ იმედებს ამყარებდა, — მოთმინების ფილა აავსო.



მისტრის სეტბიმ ქვითინი მორთო.  
 რივერამ, რომელიც იმ დროს იატაკს  
 რეცხდა, ხელი ზევით აღმართა, ხუთი თითი  
 უჩვენა და ჰკითხა:

— ხუთი ათასი ეყოფა?!

ყველამ გაკვირვებითა და შიშით შეხედა  
 მას. ვერას სიტყვები ყელში გაეჩხირა, მხო-  
 ლოდ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.  
 ეს ის წამი იყო, როცა მან მოულოდნე-  
 ლად მექსიკელი ფილიბე რივერა ირწმუნა.

— იარაღი შეუკვეთეთ! — წამოიყვირა  
 რივერამ და იმ წამს გრძელი სიტყვა წარ-  
 მოთქვა, რომლის მსგავსიც მისგან არასო-  
 დღეს არ გაეგონათ.


— ცოტა დროა... სამი კვირის შემდეგ  
 მე თქვენ მოგიტანთ ხუთიათას დოლარს.  
 აი ყველაფერი, რაც მე თქვენთვის უნდა  
 მეთქვა.

— ხომ არ გაგიყლით! — წამოიძახა ვე-

რამ, რომელიც თავის თვალებს ვერ უნდა  
 რებდა. — სად იშოვით ამდენ ფულს?  
 — სამი კვირის შემდეგ თქვენ ფული  
 გექნებათ, — ვაიმეორა ბიჭმა, სახელოები  
 ჩამოიწია და პიჯაკი ჩაიცვა. — იარაღი  
 შეუკვეთეთ. მშვიდობით!

### III

რივერა ძლივს შეამჩნიეს, როდესაც ის  
 ასპარეზზე გამოჩნდა. მხოლოდ აქა-იქ გაი-  
 მა ერთი-ორი ტაშის წკაპუნნი: მაკურებ-  
 ლებმა გადაწყვიტეს, რომ ეს ის უდანაშა-  
 ულო მსხვერპლი იყო, რომელიც დიდ-  
 ბულ და უძლიველ მოკრივე დენის უნდა  
 შესწიროდა. გარდა ამისა, ყველა გულნატ-  
 კენი იყო მით, რომ არ მოხდებოდა ბრძოლა  
 დენისა და ისეთ ღირსეულ მოჭიშვეს შო-  
 რის, როგორიც იყო ბილი კარტეი.





რივერა იჯდა თავის კუთხეში და ელოდა. დრო გულგასაწყალბლად გრძელდებოდა. დენიმ დაიგვიანა.

ეს თავისებური ჩვეულება იყო, რომლითაც ახალ მყურებლებზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მაგრამ რივერა არავითარ შიშს არა გრძნობდა. ის უკმეხად გასცქეროდა ოცდაათიათასი კაცისაგან შემდგარ ზრბოს, რომელიც მოკრივეთა შეჯიბრების საყურებლად მოსულიყო.

— ფრთხილად იყავით, — ჩასჩურჩულა მას მისმა მთავარმა სეკუნდანტმა ხაიგერტმა. — რაც შეიძლება შორს გაუდევით. თქვენთვის ძლიერ საჭიროა ოთხ-ხუთ წრეზე შიანც გამავრდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი აყალბაყალს ატეხს და შესაძლებელია ფული უკანვე მოითხოვოს, ამას კი ოცი, ან ოცდაათიათასი დოლარის სუნი უღის. თქვენ გესმით, ეს რას ნიშნავს?

რივერას ამ სიტყვებისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

ამ წუთს ის მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ ის ამ ბრძოლიდან გამარჯვებული უნდა გამოსულიყო. ის ვალდებული იყო... მოქიდავე დენი ფულის გულისათვის იბრძოდა...

ის კი, რივერა... ის...

უცებ იმ კუთხეში, სადაც ეს ბიჭი იჯდა, მწუხარე სურათების მთელმა რიგმა გაიარა მის თვალწინ ქარავანივით.

რივერამ ცხადად დაინახა ქარხანა რიო-ზლანკის თეთრი კედლები.

მასთან ერთად ექვსი-შვიდი ათასი ძალზე მისუსტებული მუშა და მათი მცირე-წლოვანი ბავშვები წარმოიდგინა, რომლებიც ათი ცენტის გულისათვის დილიდან შუალამემდის მუშაობდნენ.

მან დაინახა აგრეთვე თავისი მხარბეკი-

ანი, გმირის მსგავსი მამა, ისეთი მშვენიერი სულის პატრონი, თავის ცხოვრებაში ბევრი მწუხარება აიტანა.

დიდმა ჟამმა განვლო მას შემდეგ! მაშინ მას ხუან ფერნანდესს უწოდებდნენ, და არა ფილიპე რივერას.

მას უსათუოდ უნდა გამოეცვალა თავისი სახელი და გვარი, რადგან ადგილობრივი პოლიციის პრეფექტს ყველა ფერნანდესი ქირივით სძაგდა.

— მალე არ დანებდეთ, — ხელმეორედ მოესმა მას სეკუნდანტის ხმა, — რაც შეიძლება შორს გეჭიროთ თავი...

რივერას სიტყვები ესმოდა, მაგრამ მათი მნიშვნელობა გაუგებარი რჩებოდა.

მისი ფიქრები იმ წუთს სულ შორს იყო, სხვა გარემოებით იყო შეპყრობილი.

გავიდა რამდენიმე წელიწადი.

აჯანყებამ მოიცვა მთელი ის მხარე, რიო-ზლანკიც აჯანყდა. საშინელება დატრიალდა.

დაქირავებულმა ჯარისკაცებმა ყველაფერს ნგრევისა და აწიოკების სახე მისცეს. რკინისგზის ბაქნებზე დასახიჩრებულ სხეულთა ხროვა ეყარა.

ეს გვამები ვერა კრუცში მიქონდათ, საიდანაც ზღვაში თევზების გასამასპინძლებლად უნდა გადაეყარათ.

საბრალო მამა! საბრალო დედა! მან მათ გვამებანდისაც კი ვერ მიაღწია.

უცებ მას აბოზოქრებული ზღვის გრგვინვის მსგავსი თავზარდამცემი ხმაურობა შემოესმა, მოგონებანი გაქრენ, მან დაინახა დენი, რომელსაც თან ახლდა ჯგუფი თანამეწყევებისა და მემსაყვეებისა.

ხალხის საყვარელი გმირი მარჯვნივ და მარცხნივ ყველას ტკბილად უღიმოდა და ოხუნჯობდა. მან თავის მოწინააღმდეგეს



101

ზიზღის გამომხატველი ერთი შეხედვაც კი არ აღირსა.

რივერას არაფერია არ უცქეროდა, თითქოს იგი ასპარეზზე არც კი ყოფილიყო.

აღტაცების ჩურჩული აღმოხდა ათათასეულ ხალხს, როდესაც დენიმ პერანგი გადძირა: მშვენიერი, ნაზი და თეთრი სხეული ჰქონდა მას, როგორც ქალს, მაგრამ იმავე დროს დამარღველი და მაგარი.

მაგრამ როდესაც ზაიგერტმა რივერას თბილი საცვალი გადაადრო თავიდან, ხალხში გაისმა უკმაყოფილების ხმა: სიშავის გამო, ახალგაზრდა მოქიდავის სხეული უფრო გამბდარი ჩანდა. სამაგიეროდ ხალხს მისი განიერა გულისა და არაჩვეულებრივად განვითარებული მხრების კუნთებისათვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევია.

ხალხი აღტაცებით განაშთებდა, მას არასოდეს ასეთი შესანიშნავი კრივი არ ენახა: ეს არც კრივი იყო, არამედ ვალახეა, უფრო სწორედ კი - ნამდვილი, ხელოვნური კვლა კაცისა.

დიდებული წარმოდგენა დაიწყო. აუწყებულმა მღელვარებამ მოიცვა ხალხი.

მაგარი და ლოდვიით მძიმე მუშტები სეტყვასავით ეკვეთა რივერას.

დენის ცქერით ტკებოდენ, რივერას კი არაფერი ყურადღებას არ აქცევდა. ბევრი დარწმუნებული იყო, რომ ბიჭი ფეხზე აღარ იდგა.

მას ცხვირიდან სისხლი სდიოდა, ტუჩები ბევრ ადგილას დაჰხეტოდა, მაგრამ მისი გული ჯერ ისევ მშვიდად, ძალდაუტანებლოდ აღი-დადიოდა, თვალღებში კი ჩვეულებრივად მხოლოდ ზიზღი გამოსჭეიოდა.

უცებ ხალხისათვის რაღაც უჩვეულო და უცნაური რამ მოხდა: დენი მიწაზე გა-

წერტოხდა. რივერა ასპარეზზე მარტო იდგა, მშვიდდ მუთხე დენი ცალ მუტხე მუტხე მოდგა, მეთათხე კი ისევ საბრძოლველ პოზიციაზე იდგა...

რივერა მშვენიერად ხედავდა, რომ არბიტრი წუთებს ძლიერ მძიმედ თვლიდა. ყველა მის წინააღმდეგ იყო.

აქ ოცდაათათას ხალხს ჰქონდა თავი მოყრილი და არცერთი თანამგრძობი, არცერთი ნომხრე მას არ ჰყავდა.

დენი კრივში მთლად მოხრილი იბრძოდა: ის მუცელსა და სახეს იცავდა.

ასეთი ბრძოლა უკანონო იყო, მაგრამ არბიტრი დენის შენიშვნას მაინც არ აძლევდა. ამგვარი მდგომარეობით მან დრო მოიგო, ძალა მოიკრიბა და ბრძოლა განაგრძო. მეორე და მესამე წრე უკვე განვლეს. დენიმ რივერაში საშიში მოწინააღმდეგე იცნო, რომელმაც კრივის ყველა წესი მშვენიერად იცოდა.

#### IV

ბრძოლა გრძელდებოდა.

მეთოთხმეტე წრის გაკეთებაზე რივერას საეჭვო ჩურჩული მოესმა დენის კუთხიდან.

ბიჭს სმენა გარეულ კატასავით ჰქონდა განვითარებული. მან ლაპარაკის ნაწყვეტს მოჰკრა ყური. მას მეტი მოსმენა უნდოდა და ამიტომ მოწინააღმდეგე შესაფერის კუთხეში მიიმწყვდია.

— უსათუოდ დენიმ უნდა გაიმარჯვოს... წარმოთქვა ანტრებრენიონმა კვლამ.

მისმა თანამოაზრებებმა თანხმობის ნიშნად თავები ჩაიქნიეს.

— წინააღმდეგ შემთხვევაში, ეშმაკმა უწყის, რამდენს წავაგებ, თუ ეგ ძაღლის ლეკვი მეთხუთმეტე წრესაც გაიტანს. ამ წუთამდის ბიჭის თვალწინ მრავალმა მძიმე მოჩვენებამ გაიარა.

ყველგან მას იარაღი ელანდებოდა. თვი-  
თეულ ადამიანში ის იარაღს ხედავდა, რომ-  
მელიც მის საწინააღმდეგოდ იყო მიმართუ-  
ლი.

ის იბრძოდა თოფების გულისათვის...  
თაფი, ან სიკვდილი!  
ამ წუთს კი მან ყველა მოჩვენება განდევ-  
ნა. მას და მთელ ამბოხების საქმეს საფრთხე  
ელის... მან ერთხელ კიდევ ძირს დაანარ-  
ცხა ღენი და ხელგებდაშვებული გაჩერდა.  
მასთან ღენის თანაშემწე რობერტი  
მივიდა.

— ხელი აღარ ახლო მას! — მოკლედ  
და ბრძანებით ჩასჩურჩულა ბიქს.  
რივერამ ზიზღით შეხედა და ცდა დაუწყ-  
ყო, სანამ ღენი აღგებოდა.

მაშინ თვით კელი მივიდა.  
— თავი დაანებეთ. ეშმაკმა გზიდოთ!  
თქვენ უნდა დანებდეთ! გესმით, რას გელო-  
პარაკებით?! თქვენ ახლა უნდა დანებდით!  
შემდეგისათვის მოგცემთ მისი დამარცხების  
ნებას, ახლა კი თქვენ უნდა დანებდით!  
რივერა არც განძრეულა, რომ მისი  
სურვილის გაგება შესძლებოდათ.

— რას გაჩერებულხართ? სულერთია,  
არბიტრი თქვენ გამარჯვებას არ გაკუთ-  
ნებთ. ტყუილად ცდილობთ, გაუგონეთ  
კელის, დანებდით! — თქვა რობერტმა.

რივერა პასუხს არ აძლევდა.  
როდესაც ხელმეორედ ატყდა განგაში,  
ბიქმა ინსტინქტურად იგრძნო რაღაც სა-  
შინელება. ღენიმ წინანდებული ვაბედუ-  
ლობით დაიწყო იერიშის მიტანა, ყოველ-  
გვარ სიფრთხილეს გვერდი აუქცია, რაც  
არასოდეს არ ჩაუდენია.

მაყურებელთა მღელვარება უკიდურე-  
სობამდის მივიდა.

ღენის ვერაგული მოქმედების შიში ჰქონ-  
და რივერას და ამიტომ მის დარტყმას  
გაუბრძოდა.

გარშემო შექსიკელის მიმართ ღანჯავა/  
და ყვირილი ისმოდა.

— ეი, შენ, მშიშარა, რას ხელობ  
ყვითელსახიანო მაიმუნო!!

ამ გამხეცებულ ხალხს შორის მხოლოდ  
რივერა იყო მშვიდი და დაწყნარებული.  
სიფიცხითა და ტემპერამენტით ის ყველას  
სკარბობდა, მაგრამ ცხოვრებამ თავის შე-  
კავება იმდენად ასწავლა, რომ იმ წამს  
სამი ათიათასი ხალხის მღელვარება არავი-  
თარ გავლენას არ ახდენდა მასზე.

მეჩვიდმეტე წრეზე ღენიმ თავის განზრ-  
ხვა ბოლოს მაინც შეასრულა; მისმა საში-  
ნელმა დარტყმამ რივერა ფქვილის ტო-  
მარასავით გააგორა მიწაზე, მაგრამ იმ წამს,  
როდესაც ღენიმ უკანასკნელი და გა-  
დამწყვეტი დარტყმა განიზრახა, რივერა  
ახალგაზრდა ვეფხვის სიმკვირცხლით წა-  
მოხტა და მოწინააღმდეგეს პირში მძლე-  
რად დაარტყა.

ღენი მუხლებზე დაეცა. რივერამ სე-  
ტყვისავით დააყარა მუშტები:

— ბილი, ბილი! შეაჩერეთ იგი! — წა-  
მოიყვირა კელიმ თავზარდაცემით.

— მე არაფერი არ შემოძლია, — უბა-  
სუხა მან და ხელები გაშალა. — ის საბაბს  
არ იძლევა, რომ შევაჩერო. მაშინ კელიმ  
პოლიციას მოუხბო, რომ კრივი შეეჩერე-  
ბიათ.

მაგრამ იმ წუთს, როდესაც პოლიცი-  
ელთ ბიქს ხელები დაუჭირეს, მან უკვე  
მოსწრო უკანასკნელი დარტყმა.

არც საჭირო იყო ხელოვნურად კრივის  
შეჩერება, რადგან ღენი აღარ იბრძოდა.

— დათვალეთ! — ხრინწინად წამო-  
იყვირა რივერამ.

ათი წუთის შემდეგ ღენის თანაშემწე-  
ებმა გონებამიხილი მოკრივე აიყვანეს და  
გაიყვანეს.





102

— ვინ გაიმარჯვა? — იკითხა რივერამ სუბარბიტმა ძალაუფლებურად ხელი წააგლო რივერას და ზემოთ ასწია.

ბიქს გამარჯვება არა ვინ არ მიულოცა, ის, უცებ მოდუნებული, თავისი კუთხისაკენ გაემართა, რივერა თოკის მოაჯირს დაეყრდნო და თანადამსწრეთ ზიზღით გადახედდა.

ის მთლად კანკალედა.

ძალაგამოლეულს უცებ ქაითინის წესდის საზიზღარი სახეები თითქოს ნისლით

მოკლული მიცურავდნენ მის თვალწინ, მარამ მას უცებთ რალაცა გაახსენდა და გაიღიმა:

ხუთიათასი დოლარი მას ერგო... დიდებული საქმე შეიძლება დაწყებულიყო. ბენჯამინ გენერალის დაწყებულიყო თარგმანი ცქვიტისა.

### ზოი მკვირვარი

## ზ ა მ თ ა რ ი

ზამთარმა თავი დაგვიკრა სწორი ფიფქების ფრქვევითა, სიცივეც ჩუმაღ მატულოვს როგორც ძირს, ისე ზევითა.

მალე დაფარავს ყველაფერს თეთრი ზეწურები თოვლისა, გარეთ არავინ დარჩება, ვისაც თავი აქვს შოვლისა.

პირუტყვემა ბოსელს მიმართა, სხვამ კიდევ თავის ბინას; იარაღებიც დოლაგდენ, რკინა დაეყრდნო რკინასა.

დადგა დრო დასვენებისა, ერთად მთისა და ბარისა, დახულ-დათესილ მინდვრების თოვლით დახურვა კარისა.

ვადამდის უნდა ისვენონ ერთად მიწამ და შრომამა, შევეპყვით ნელ-ნელ, ნებისად, რაც შოგვეცა შემოდგომაში.

და როცა დაკრავს დრო მკვირცხლი ბუნების ვალვიძებისა,

როცა დაიწყებს დადნობას თოვლი გარშემო მთებისა,—

მაშინ კვლავ ახმაურდება სურვილი შრომის, გარჯისა, მიწების დამუშავების, გაღება ყოველ ხარჯისა.

და თქვენ კი, ჩემო ცელქებო, შინ იქნებით თუ სკოლაში, დრო არ დაკარგოთ, დრო ძვირი, მუქთად ყოფნა და წოლაში.

ისწავლეთ, ყველგან ჩაებით უკეთეს წრეთა რიგებში; ზოგჯერ ბურთს გაჰკათ-გამოჰკათ, ზოგჯერ გაებით ციგებში.

დრო ისე სწრაფად გაივლის, ისე ჩუმაღ და მალიად, რომ სულ ვერაფერს გაიგებთ, ვისაც სწავლისთვის ცალიათ.

ზამთარმა თავი დაგვიკრა სწორი ფიფქების ფრქვევითა, მალე სრულ ბარდენას დაიწყებს როგორც ძირს, ისე ზევითა.



## არქიმედის ცხოვრების დასასრული

მამამ პირობა მისცა ბავშვებს, რომ ყოველ საღამოს უამბობდა მათ გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრებაზე. ბავშვები გულის ფანცქალით ელოდნენ დაღამებას. მალე დაბინდა... ელექტროს შუქზე მოჩანდა მამა, რომელსაც ირგვლივ შემოაპყვავებდნენ შვილები. სულგანაბული ბავშვები ალტაცებით ისმენდნენ მამის საუბარს, რომელიც გამოჩენილ მეცნიერის არქიმედის ცხოვრებას შეეხებოდა.

— ჩემო პატარებო, უძველეს დროს საბერძნეთში ცხოვრობდა უძლიერესი მეფე გეორგი. მრავალმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ.

ასე დაიწყო მამამ არქიმედის ცხოვრების თავგადასავალი. — ერთხელ მეფემ მიზნად დაისახა ოქროს გვირგვინის გაკეთება, დაიბარა ოქრომკედლები და ჩააბარა მათ ოცი გირვანქა წმინდა ოქრო. მეფემ მათ დაავალა გაეკეთებიათ ძალიან კარგი, მოხდენილი გვირგვინი. მართლაც, ოქრომკედლებმა შეძლეს საუცხოვო გვირგვინის დამზადება: მეფეს ძლიერ მოეწონა, მხოლოდ გულში ეჭვი დაეხატა: ოქრომკედელმა ოქრო ხომ არ მომპარაო. ნაზირვეზირებმა აწონეს გვირგვინი და ოცი გირვანქა გამოვიდა. გეორგი მანც არ აყო დარწმუნებული, რომ მისი გვირგვინი წმინდა ოქროსაგან იყო დამზადებული. მართალია, გვირგვინი ოც გირვანქას იწონის, მაგრამ შეიძლება ოქროს მაგიერ სხვა რაიმე აქვს შერეულიო, — ფიქრობდა გეორგი. წონის ზუსტათ ვაგება მხოლოდ გადადნობით შეიძლებოდა, და მეფეს კი

ძლიერ ენანებოდა გვირგვინი, რადგან საუცხოვოდ იყო დამზადებული.

— მამა, განა არ შეიძლებოდა არ ვადენოთ და ისე ვაგვოთ მისი წონა? — შეეკითხა პატარა ცუცა მამას.

— მაშინ არა, ჩემო კარგო, რადგან ჯერ კიდევ არ იყვნენ აღამიანები იმდენად განვითარებულნი, რომ ეს მძიმე საქმე შეესრულებიათ. სწორედ ამ დროს საბერძნეთში ცხოვრობდა გამოჩენილი მოხუცი ფილოსოფოსი, გონებაგამჭრიახი კაცი — არქიმედი. როდესაც გაიგო მეფემ ამ კაცის გონების გამჭრიახობა, მიიხმო ის სასახლეში და სთხოვა მას შეეტყო წმინდა ოქროსი იყო თუ არა მისი გვირგვინი, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი არ გადაედნო. არქიმედი ჩაფიქრდა, მაგრამ ისეთი ვერაფერი ნახა, რომ მეფის გული მოენადირებია. ბევრი იფიქრა, ბევრს ეცადა, და ბოლოს კიდევ მიაღწია მიზანს.

— ყოჩაღ! — წამოიძახეს ალტაცებულმა ბავშვებმა და გატაცებით მიაჩერდნენ მამას.

— მოიცათ, ყური მიგდეთ, ჯერ არ დამიმთავრებია. ერთხელ არქიმედი აბანოში წავიდა. იგი ჩვეულებრივ საბანაო აუზში ჩაჯდა; როგორც კი ჩაჯდა, მაშინვე წყალი გადმოიღვარა. შეგიძინევიათ, ალბათ, ბავშვებო, ეს ბანაობის დროს!

-- როგორ არა! — ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა.

— დიად, ეს მოვლენა მეტად საინტერესოა, და როდესაც თქვენ სკოლაში დაიწყებთ ფიზიკის სწავლას, მაშინ დარწმუნდებით მეცნიერული კანონების სი-



ძლიერეში, ტექნიკის მაღალი მწვერვალე-  
ბის განვითარების უტყუარობაში.

— მერე, მამა, მერე?

— ჰო... და იმას გუუბნებოდით, რომ ამ  
მოვლენამ მასში ისეთი სიხარული გამო-  
იწვია, რომ ის შიშველი გავარდა გარეთ და  
„ვერიკა“-ს ძახილით გაიქცა ოთახისაკენ.

— მამა, „ვერიკა“ რა არის?—სიცილით  
წამოიძახა ვახტომ.

— „ვერიკა“, ჩემო ბიჭო, ბერძნულად  
„გავიგეს“ ნიშნავს. ამ უბრალო მოვლენამ  
ის იქამდის მიიყვანა, რომ კიდევ უფრო  
დაეფიქსირა. რა იყო არქიმედის  
აღტაცების მიზეზი, რამ გაახარა იგი ასე  
რა გაიგო, რა აღმოაჩინა?—როდესაც აუზ-  
ში ჩაეჯექი, წყალი ამოიღვარა. რა იყო  
ამის მიზეზი? — ფიქრობდა არქიმედი, მა-  
გრამ პასუხს თვითონვე იძლეოდა:—ის  
ადგილი, რომელიც წყალს ეჭრა აუზში,  
მე დაეკავებ... ვთქვამთ, ახლა ჩემ მაგიერ  
საესე აუზში ხუთფუთიანი ქვა ჩავადგე.  
ამდენივე წყალი ამოიღვრება თუ ნაკლებ-  
ი? ცხადია, ნაკლები, რადგანაც ქვა უფ-  
რო ნაკლებ ადგილს დაიკავებს, მაშასა-  
დამე, უფრო ნაკლები წყალი ამოიღვრე-  
ბა. ოქრო რკინაზე მძიმეა, — გაიფიქრა  
არქიმედი. მაშ იგი უფრო ნაკლებ წყალს  
ამოღვრიდა და უფრო ნაკლებ ადგილს და-  
იკავებდა.

ეს ყოველივე არქიმედმა საბანაო აუზში  
მოისაზრა, მაგრამ მოსაზრებას გამოაცდა,  
პრაქტიკა ესაქიროება, რომ ადამიანი და-  
რწმუნდეს თავის მოსაზრებისა და მოფი-  
ქრების სისწორეში. იგი, ბავშვებო, განმარ-  
ტობით იჯდა ოთახის ერთ კუთხეში და  
ფიქრობდა: გამართლდება თუ არა ჩემი  
მოსაზრებო! ალბათ, თქვენ ბევრჯერ გა-  
მოგიცდიათ ისეთი შემთხვევა, რომ გასურთ  
გამოიცნოთ საიდუმლოებით მოცული შემ-

თხვევა, მაგრამ ვერ მოიხრეთ, <sup>სადაც</sup> <sup>მოდის</sup>  
არის ის, ამიტომ დიდხანს უფიქრდებით და  
ბოლოს, ბევრი დაკვირვებისა და ფიქრის  
შემდეგ, აღწევთ სასურველ შედეგს.

— მართალია, მამა!—წამოიძახა ცი-  
ლამ,—ბევრჯერ მქონია ასეთი შემთხვე-  
ვები. მაგალითად: მოცემული მაქვს ამოცა-  
ნა, ბევრი მიფიქრია, ბევრი მიაზრია, ბოლოს  
ამომიცვინა დამოუკიდებელივ და კარგ  
შედეგამდის მივსულვარ.

— მე კი, წამოიძახა პატარა ცუცამ,—  
ერთ დღეს ვახტომ წამიკითხა უბრალო  
„ოქტომბრელ“-ში გამოცანა, ბევრი ვიფიქ-  
რე, დიდხანსაც კი ვკითხე, მაგრამ ვერ  
გამოვიცანი. მეორე დილას ადრე ავდექი  
და მე თვითონ გადავიკითხე დაკვირვებით,  
ამან კარგი შედეგი გამოიღო და ცოტა  
ხნის შემდეგ გახარებული ეუამობდი ვახ-  
ტოს ამ უცნაური გამოცანის შინაარსს.

— ჰო... მართალია, ბავშვებო, — ღი-  
მილით თქვა მამამ და განაგრძო: — რო-  
დესაც არქიმედი შინ მივიდა, როგორც  
აუზში ჰქონდა მოფიქრებული, იმნაირად  
შეუდგა საქმეს. მან აიღო საცდელად:  
ტყვია, რკინა, ქვა, მინა და სხვა. ყველა  
თანასწორი წონისა იყო, თითოგორვანქი-  
ანი. შემდეგ სასწორის ერთ უღელს ჩა-  
მოაბა ორთავე ბოლოს თანასწორი მკე-  
დი, ერთზე ჩამოკიდა გირვანქიანი ქვა, ხო-  
ლო მეორეზე ამდენივე წონის რკინა. სა-  
სწორის უღელი წონასწორობაში იყო.  
ახლა მიუდგა სასწორს ქვევიდან წყალი და  
შიგ რკინის ნაჭერი ჩაუშვა. სასწორის უღე-  
ლი იმ მხრით გადაიხარა, საითკენაც გირ-  
ვანქიანი ქვა იყო. ქვამ დაძლია გირვან-  
ქიანი რკინა. „საიდან მოხდა ეს? — ფიქ-  
რობდა არქიმედი. ცხადია, წყალი იყო  
მიზეზი, რადგან ორივე ნაჭერს თანასწორი  
წონა ჰქონდა. ამგვარადვე სცადა ტყვია,



მინა და ბევრი კიდევ სხვა. აღმოჩნდა, რომ ყველა ეს სხეული წყალში უფრო ნაკლებს იწონის, ვიდრე ჰაერში, რომ ყველა სხეულს, წყალში ჩაშვებულს, წონა აკლდება. ვარდა ამისა, არქიმედმა ისიც შენიშნა, რომ თანასწორი წონის სხეულები წყალში თანასწორად არ იკლებენ, ზოგი მეტს იკლებს, ზოგი ნაკლებს. მაგალითად: რკინა გირვანქაზე შვიდ მისხლამდის იკლებს წყალში, ქვა თერამეტ მიხსლამდის, მინა თექვსმეტ მისხლამდის და ა. შ. მან აღმოაჩინა კანონი, რომელსაც არქიმედის კანონს უწოდებენ. მე ახლა მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოგიყვანო, რომ „არქიმედის კანონი“-ს მნიშვნელობა ცოტათი მაინც გაიგოთ. მაგალითად: რა არის მიზეზი, რომ რკინის უზარმაზარი გემები არხეინად დაიარებიან ზღვაში, როდესაც რკინის პატარა ნაქვირც კი ამავე ზღვაში უფერად იძირება?

აგრეთვე ძლიერ გასაკვირია ის ამბავი, რომ საქონლით სავსე ხომალდები უფრო მალე იძირება ზღვაში, ვიდრე დაუტვირთავი ცარიელი ხომალდები. მაგალითად: თუ ხის ნაქვირს ჩავადებთ წყალში, ის მაშინვე ჩაიძირება, მაგრამ თუ ამავე ოდენობის საცობს ჩავადებთ, იგი ნაკლებად იძირება. ეს იმიტომ ხდება, რომ საცობი ხეზე უფრო მსუბუქია და, მაშასადამე, ის სავანი უფრო ღრმად ჩაიძირება წყალში, რომელიც უფრო მძიმეა. ახლა ხომ გაიგეთ ცოტათი მაინც არქიმედის კანონის მნიშვნელობა?

— გავიგეთ, გავიგეთ! — ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა.

— „ვერიკა“, მამა, „ვერიკა“! ამის შემდეგ არქიმედს შეეძლო ოქროს გვირგვინი გადაუდნობლად აეწონა! — წამოიძახა მერაბმა.

— მართლაც ამბობ, ჩემო კარგო, ჩემო გენი წყალში აწონა და აღმოჩნდა, რომ მეფის გვირგვინი წყალში 18 გირვანქას და სამოკლათორმეტ მისხალს იწონდა, არქიმედის ცდით აღმოჩნდა, რომ გვირგვინი წმინდა ოქროსი არ იყო. მეცნიერებამ გაიმარჯვა. ოქრომქვედლს მაინც ვერ გაეძლო და მოეპარა 20 მისხალი. ამამბით ალტაცებული მეფე გადაეხვია არქიმედს და გადაკოცნა, დიდ საჩუქრებს შეჰპირდა, ხოლო ქურდი ოქრომქვედელი სასტიკად იქნა დასჯილი. განა საჩუქარი ამოქმედებდა ამ უდიდეს კაცს! არა, მას ამოქმედებდა თავისი საქმის სიყვარული, რასაც შესწირა თავი. აღბათ ძლიერ გეინტერესებათ მისი ცხოვრების დასასრული.

— ძლიერ, მამიკო, ძლიერ! — დაუმატა კოკიმ.

— არქიმედმა, ჩემო კარგო, ბევრი რამ შესძინა მეცნიერებას, მაგრამ მისი უდიდესი დამსახურება ჩაწიხლეს ძველი სახელმწიფოს უმეცარმა ჯარისკაცებმა. ერთ დღეს არქიმედის სამშობლო ქალაქს მტრებმა ომი გამოუცხადეს. ყველა შეიარაღდა. მტერს ძლიერი დახვედრა უნდოდა. არქიმედს ქალაქი ზღვის პირას იყო გაშენებული. მტრმა ზღვიდან შემოუტია ხომალდებით. ყველანი შეიარაღდნენ. არქიმედიც არ ჩამორჩა სხვებს, მან თავისი კუთხით უფრო მეტი უშველა თავისიანებს. მაშინ თოფის მაგივრობას მშვილდ-ისარი წვიდა, და არქიმედმა იმდენი იფიქრა, რომ გამოიგონა რალაც მანქანა, რომელიც ქვებს ისე ისროდა, როგორც ზარბაზანი ყუმბარებს. არქიმედის მანქანამ ბევრი მტერი გასრისა, მაგრამ ბოლოს მტრმა მაინც აიღო ქალაქი და შეუბრალებლად თელავდა აუბრებელ



ხალხს. ამ დროს არქიმედი ჩაფიქრებული იჯდა ოთახში და არ ესმოდა, თუ გარეთ რა ხდებოდა. იგი დასცქეროდა თავის ნახაზებს. ამ დროს კარი გაიღო და ჩაფიქრებულ არქიმედს თავს წამოადგა რამდენიმე ხმალომოდებული კაცი, ის არ შეშინებულა, მხოლოდ უთხრა თავის დაუპატიჟებელ სტუმრებს, ნახაზებს ხელი არ ახლოთო. მკვლევებმა აუსრულეს თხოვნა და დატოვეს ქვიშაზე რალაც ნახაზები, უბედურ მოხუცს კი თავი მოჰკვეთეს.

— საწყალი! წამოიძახა ნელომისი დაამთავრა მამამ საუბარი არქიმედის ცხოვრების შესახებ და შეჰპირდა ბავშვებს, რომ შემდეგ უამბობდა სხვა მეცნიერების ცხოვრებას და აჩვენებდა სხვადასხვა საინტერესო ცდებს.

ცოტა ხნის შემდეგ ელნათურების შუქზე მოჩანდა პატარა ოთარი, რომელიც ჩაფიქრებული ხატავდა არქიმედის პორტრეტს.

5. ნ ა ქ ა შ ი ძ ე

გ ა ს ა რ თ ო ზ ი

უ ს ი ტ ა ზ ო დ გ ა მ ო მ ც ნ ო ბ ა

აბა, დავსხდეთ და ხელმძღვანელი ავირჩიოთ. ძალიან სასაცილო თამაშობა უნდა ჩავატაროთ: მუნჯმა უნდა გამოიცნოს.

ერთერთი მოთამაშე უნდა გავისტუმროთ გარეთ ან მეორე ოთახში და დავასახელოთ, ჩაფიქრებულ ვინმე ისეც ი კაცი, რომელსაც ყველა ვიცნობთ: მასწავლებელი ქალი, ტრაქტორისტი, ფოსტის დამტარებელი, ექიმი ან კლასობრივი მტერი: მღვდელი, კულაკი, ვაჭარი.

შემდეგ დავუძახოთ გამომცნობს. გამომცნობმა რიგრიგობით უნდა ჩამოუთაროს მოთამაშეებს და ყველას ჰკითხოს დასახელებული კაცის შესახებ, მაგრამ ჰკითხოს სიტყვებით კი არა, — ნიშნებით, ხელებით, მოძრაობით.

მაგალითად, ჰკითხავს: „სქელი ხომ არ არის დასახელებული კაცი?“ — ხელებს ასე გაწევს წინ მუცელზე და გვერდებზე. „ქალი ხომ არ არის?“ — ვითომ კაბას ისწორებს, თმას... ჰკითხავს სიმღერის შესახებ,

წვერი თუ აქვს, სათვალევებს თუ ატარებს, როგორ დადის და სხვა, ე.ი. ჩამოთვლის დასახასიათებელ ნიშნებს.

ძნელი არ არის ვკითხოთ ნიშნებით, როგორი ხასიათის მუშაობას ეწევა კაცი, ზარმაცია თუ კარგი მუშა, უღმერთოა თუ მორწმუნე და სხ.


კითხვაზე შეიძლება უპასუხოთ მხოლოდ „ჰო“ ან „არა“.

გამომცნობს შეუძლია ხმა ამოიღოს მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოიცნობს, ვინც იყო დასახელებული.

ხომ გაიგეთ? აბა, ახლა ვინ ავირჩიოთ გამომცნობი — გაბო? ძალიან კარგი. აბა, გაბო, გადი, ამხანაგო. ყური არ დაგვიგდო, თორემ გამოცნობა თვითონ შენთვისვე იქნება მოსაწყენი.

გავიდა. აბა, ვინ დავასახელოთ: ტრაქტორისტი, ფოსტის დამტარებელი თუ მასწავლებელი? ორის დასახელება არ შეიძლება ერთად.

ტრაქტორისტი დავასახელოთ? ჩვენი ლავრენტი? ძალიან კარგი. ლავრენტი



დაბალია, უღვაშებიანი, მუდამ ქუდღახუ-  
რული დადის. იმისი საქმეა მანქანაზე  
ჯდომა, მართვა და სხვა.

ახლა დავეუძახოთ ვაბოს და გამოიცნოს.  
თუ გამოიცნო ვინ დავასახელოთ, მაშინ  
ახალი გამოცნობი ავირჩიოთ და სხვა ვინმე  
დავასახელოთ. თუ ვერ გამოიცნო, — რამე  
დავალება შევასრულებინოთ ვაბოს: ვამ-  
დეროთ, ლექსი ვათქმევინოთ ან სხვა რამ.

### ბადაბრიალვაპული დედამიწა

(ბაზრბაზიშული ბაზრბანა)

ნახატზე გამოხატულია დედამიწის ორი  
ნახევარსფერო. ორივე ნახევარსფერო. შავ  
მსხვილ ნახაზზე უნდა დაქრათ. როდესაც  
ორივე ნახევარსფეროს დაქრით თექვსმეტ


ნაწილად, ყოველი ნაწილი ისე უნდა მიაწ-  
ყოთ ერთმანეთს, რომ სწორედ თავთავის აღ-  
გილას გამოვიდეს მატერიკები, ოკეანეები,  
ზღვები, კუნძულები, ნახევარკუნძულები  
და სხვა.

ეს თამაშობა ძალიან საინტერესო და  
სასარგებლოა იმისათვის, ვინც ახლად იწ-  
ყებს გლობუსზე მუშაობას.

### არზორ დამკარბა ხაზი


მუყაოზე, ან მაგარ ქალღღზე დახაზეთ  
თორმეტი პარალელური მსხვილი ხაზი,  
მერე ქალღღი გაქერით მაკრატლით ირიბად  
პირველი ხაზის ქვევითა მხრიდან მეთორმე-  
ტე ხაზის თავამდის (იხ. ნახატი).

შემდეგ ნახევრები მიადევით ერთმანეთს.



ისე, როგორც ნახაზზეა, დაკლებით, და  
 ნახეთ, რომ 12-ის მაგიერად 11 ხაზია.

**პიქტორინა**



1. საიდან წარმოდგა სიტყვა ეტორვა?
2. ჩვენი ბარტიის რომელი პელოდი იყო  
 გადასახლებული ქ. ტურუხანსკში? ნახეთ  
 ეს ადგილი რუკაზე.
3. მონახეთ რუკაზე ს. შუშენსკი-მინუ-  
 სინსკის შაზრაში, სადაც ვ. ი. ლენინი  
 იყო გადასახლებული.
4. რა მოხდა 1912 წ. ბაიბაბოში?
5. ვინ გამოიგონა მეფის დროის სატუ-  
 სალოს ანბანი?

**სარკმალშითი კოლეგია:** ა. გველეხიანი, აკ. რეხვიაშვილი (პ/მ. რე-  
 დაქტორი), ა. ჭანკიევი; ლავრ. ჭიჭინაძე  
 (პ/მ. მდივანი), შ. თაბუკაშვილი, შ. სინა-  
 რულიძე, ბორის ჩხეიძე და შ. თომაძე.

